პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 27 სექტემბერი, 1942 წ. № 230 (6546). ფასი 15 კაპ.

ოსტატი წარმოების უშუალო ორგანიზატორია

წითელი არმიის მეომარი ჰიტლერელ ყაჩაღებს ანადგურებს ბრძოლის ველზე იარაღით, რომელიც მას სამშობლომ ჩააბარა, საბჭოთა პატრიოტი ზურგში სჭედავს მტერზე გამარჯვებას ჩარხებთან, მანქანებთან, შახტების სანგრევებთან, საკოლმეურნეო მინდვრებში თავდადებული შრომით. ჩვენი ქვეყანა დაძაბულ დღეებს განიცდის. მილიონობით მშრომელნი გაორკეცებული და გასამკეცებული ძალ-ღონით შრომობენ ფრონტის ინტერესებისათვის. მრეწველობისა და ტრანსპორტის ასობით და ათასობით საწარმოთა კოლექტივები ჩაებნენ წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში და დამატებითი ვალდებულებანი იკისრეს წითელი არმიის წინაშე.

ბრძოლის ველებზე სასტიკი ბრძოლები მიმდინარეობს, სსრ კავშირის ხალხთა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი სწყდება. ფრონტისათვის დახმარება დღითი-დღე, საათობით უნდა იზრდებოდეს. მთლიანად შევასრულოთ ნაკისრი წინასაოქტომბრო ვალდებულებანი! ამასთან დაკავშირებით ყველა საწარმოში უსერიოზულესი ამოცანები ეკისრებათ წარმოების მეთაურებს. მათი ვალია რაც შეიძლება ორგანიზებულად, მარჯვედ და მეტი ეკონომიით წარმართონ წარმოება, ეცადონ მიაღწიონ შრომის მაქსიმალურ ნაყოფიერებას და მოწყობილობის საუკეთესოდ გამოყენებას.

აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული ოსტატებზე — წარმოების ძირეულ მეთაურებზე. ოსტატის უბანზე სწყდება გეგმის შესრულებისა და გადამეტებით შესრულების წარმატება. ოსტატის უბანზე ხორციელდება ახალ მუშათა აღზრდის ამოცანა. ოსტატის უბანშია სათავე მთელი საწარმოს მომჭირნეობით მუშაობისა. აქ, ოსტატის უბანზე, პრაქტიკულად ხორციელდება ომიანობის დროის ლოზუნგი: ნაკლები მუშახელით მეტი პროდუქცია!

დიდი და საპატიო ოსტატის მოვალეობანი. იგი აწყობს რიტმულ მუშაობას, უზრუნველჰყოფს სადღეღამისო და ცვლათა გრაფიკების შესრულებას, ახორციელებს მუშათა სწორად განაწილებას უბანზე. მას დავალებული აქვს პროდუქციის ხარისხის კონტროლი და წუნის თავიდან აცილება. მას დაკისრებული აქვს პასუხისმგებლობა შრომის დისციპლინის მდგომარეობისათვის.

ოსტატი იმ მცირე და საშუალო ხელმძღვანელთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა შესახებაც ამხანაგი სტალინი 1937 წლის ოქტომბერში ლაპარაკობდა კრემლში მეტალურგებისა და მაღაროელთა მიღების დროს:

„ისინი, ეს პატარა და საშუალო ხელმძღვანელები ჩვენ ათიათასობით გვყავს. ისინი თავმდაბალი ადამიანები არიან, ისინი არ მიძვრებიან წინ, ისინი თითქმის შეუმჩნეველი არიან. მაგრამ სიბრმავე იქნებოდა ვერ შეგვემჩნია ისინი. ვინაიდან ამ ადამიანებზეა დამოკიდებული წარმოების ბედი მთელ ჩვენს სახალხო მეურნეობაში. მაშასადამე, მათზეა დამოკიდებული ჩვენი სამეურნეო ხელმძღვანელობის ბედიც“.

ჩვენში ოსტატები დიდი უფლებებით არიან აღჭურვილნი. პარტიამ და მთავრობამ ყველა პირობა შეუქმნეს მათ იმისათვის, რომ შეასრულონ წარმოების უშუალო ორგანიზატორების პასუხსაგები მოვალეობანი. სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავიანთი დადგენილებით „მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნებში ოსტატის როლის გადიდების შესახებ“ ჯერ კიდევ ორ წელზე მეტი ხნის წინათ გადაჭრით განამტკიცეს და აამაღლეს ოსტატის მნიშვნელობა.

ომიანობის მრისხანე ჟამს მნიშვნელოვნად გაიზარდა ოსტატის პასუხისმგებლობა წარმოების მსვლელობისათვის. ახლა უფრო დიდმნიშვნელოვანი გახდა მისი როლი მრეწველობაში, კიდევ უფრო მეტად გართულდა მისი ფუნქციები. მეტალურგიული, საავიაციო, სატანკო მრეწველობის ბევრ საწარმოში, საჭურვლის, საომარი მასალისა და მთელ რიგ სხვა ქარხნებში ოსტატები ნამდვილი წინამძღოლები გახდნენ სოციალისტური შეჯიბრებისა თავ-თავიანთ უბნებზე და განყოფილებებში.

ჩვენს მრეწველობაში ათიათასობით ოსტატი მუშაობს. ესენი არიან წარმოების მუშაკთა გამოცდილი კადრები. სავსებით, მთლიანად და ბოლომდე უნდა გამოვიყენოთ მათი გამოცდილება და მათი უნარი ფრონტისათვის დახმარების გასაძლიერებლად.

ბევრმა ოსტატმა თვალსაჩინო შედეგებს მიაღწია სოციალისტური შეჯიბრების სასახელო ასპარეზზე. ასეთია კიროვის ქარხნის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატი ამხ. ბახტეევი. იგი ხელმძღვანელობას უწევს დიდ, რთულ უბანს, სადაც ბევრია ახალმოსული მუშა. ოსტატმა იმას მიაღწია, რომ იქ არც ერთი მუშა არ არის, რომ ნორმას არ ასრულებდეს. მის ჯგუფში ნახევარი ხალხი ორ და მეტ ნორმას ასრულებს.

კიდევ უფრო შესანიშნავ შედეგს მიაღწია მიხეილ პჩელინმა, იმ საავიაციო ქარხნის ოსტატმა, რომლის დირექტორიც არის ამხ. ოკულოვი. მან ისე მარჯვედ მოაწყო მუშაობა, რომ მის უბანზე ყოველი მუშა სულ ცოტა ორნახევარ ნორმას ასრულებს, მთლიანად მისი ჯგუფი კი უკვე ერთისამად აჭარბებს თვიურ დავალებას. ამხ. პჩელინმა დიდი შრომა გასწია იმისათვის, რომ გაეუმჯობესებინა საწარმოო პროცესი. მან მიზნად დაისახა გაეძლიერებინა შრომის ინტენსივობა, სამუშაო დღის დატვირთვა. უბნის საუკეთესო სტახანოველებმა — ამხ. რუდოვმა და კუტასოვმა უდიდესი სარგებლობით გამოიყენეს თავიანთი დროის ყოველი წუთი.

„ამ მაგალითს რომ აღვნიშნავდი, დანარჩენებს ვაქეზებდი იმით, რომ ვეუბნებოდი: თქვენი მუშაობის ხერხებით ვერასოდეს ვერ დაწინაურდებით-მეთქი,—სწერს „პრავდაში“ გაგზავნილ წერილში ამხ. პჩელინი.—ამ მიდგომამ დადებითი შედეგი მოიტანა. ჯგუფი სრულიად გარდაიქმნა. ყველა თავის მუშაობაშია გართული, აღარ მიდი-მოდიან, აღარ ლაპარაკობენ. უფრო მხიარულად დაიწყეს მუშაობა. ჩემი, როგორც ოსტატის როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ ამასთან ერთად გაიზარდა აგრეთვე პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ მუშები ერთ წუთსაც არ მოსცდნენ“.

აი წარმოების ასეთი ორგანიზატორები, შეჯიბრების სული და გული, როგორიც არიან ამხ. ბახტეევი და პჩელინი, შეუძლიათ იყვნენ და კიდევაც უნდა იყვნენ ყველა ოსტატები! სამწუხაროდ, ყველანი ვერა სძლევენ ასე კარგად თავიანთ საწარმოო ამოცანებს. მოწინავე ქარხნების საამქროებშიც კი ცოტა როდია ჩამორჩენილი ოსტატი, არის ისეთი უბნები, სადაც მუშების გამომუშავება მცირეა, სადაც საწარმოო დავალებანი არა სრულდება. ეს ამცირებს ქარხნის მთელი კოლექტივის მუშაობის საერთო შედეგებს, ამცირებს წითელი არმიისათვის დახმარების ოდენობას. ასეთი მდგომარეობის მოთმენა ომიანობის დროს ყოვლად შეუწყნარებელია.

დავეხმაროთ ჩამორჩენილ უბნებს! მივაღწიოთ ყველა ოსტატის სანიმუშო მუშაობას! საწარმოთა დირექტორები და პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან უფრო და უფრო მეტად გააძლიერონ ყურადღება ოსტატებისადმი — წარმოების უშუალო ორგანიზატორებისადმი.

ზოგიერთ საწარმოში ოსტატის როლი შემცირებულია. აქ ოსტატები სამუშაო დროის მეტ ნაწილს დეტალებისათვის, ინსტრუმენტებისა და მასალებისათვის სირბილს ანდომებენ. საამქროების უფროსები, მეგეგმავები, დისპეტჩერები ხშირად ისე იძლევიან განკარგულებას, რომ ოსტატს არც კი ეუბნებიან: მასთან შეუთანხმებლად სცვლიან საწარმოო დავალებებს, მუშაობის წესრიგს, უბანზე ადამიანთა განაწილებას. ოსტატის როლის შემცირება და შეუფასებლობა საქმეს ვნებს და სასტიკად უნდა იქნას დაგმობილი.

საწარმოთა ხელმძღვანელნი და პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან კარგად იცნობდნენ საშუალო და მცირე ხელმძღვანელებს — პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს, მოვალენი არიან ღრმად ჩასწვდნენ მათ მუშაობას, დაეხმარონ იმაში, რომ სავსებით განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი.

ყოველი ოსტატი ახალგაზრდა მუშათა აღმზრდელი უნდა იყოს. ეს მისი უპირველესი მოვალეობაა. ამავე დროს ქარხნებში უფრო სწრაფად და უკეთესად უნდა აღვზარდოთ ძირეულ მეთაურთა კადრები. ომის განმავლობაში მათი რიგები უნიჭიერესი სტახანოველებით, ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაკებით შეივსო. უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ავამაღლოთ მათი ტექნიკური კვალიფიკაცია, გავაფართოოთ მათი პოლიტიკური ჰორიზონტი. საჭიროა სწარმოებდეს მათთან ყოველდღიური მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა.

ახლა ბევრ ქარხანაში მოწყობილია შეჯიბრება ოსტატებს შორის, მიმდინარეობს ბრძოლა პირველობისათვის. ეს სასარგებლო, საჭირო წამოწყებაა. მაგრამ ოსტატთა შეჯიბრება მხოლოდ მაშინ მოგვცემს სერიოზულ ეფექტს, როცა ამას ყოველდღიურ ხელმძღვანელობას გაუწევენ პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები.

ოსტატებისაგან — თავიანთი უბნების სრულუფლებიანი ხელმძღვანელებისაგან — სამშობლო მოითხოვს თავდადებულ, საბრძოლო მუშაობას ფრონტისათვის დახმარების გასაძლიერებლად. ავამაღლოთ ოსტატის როლი წარმოებაში! მეტი პროდუქცია მივცეთ ფრონტს!

„პრავდის“ მოწინავე, 25/IX.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლენინის ორდენით ამხ. ი. მ. მაისკის დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის, ინგლისში სსრ კავშირის ელჩის პოსტზე ყოფნის 10 წლისთავთან დაკავშირებით, ამხ. ივანე მიხეილის-ძე **მაისკი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი, 1942 წლის 25 სექტემბერი.

კინოფილმი „ფრონტი“

დრამატურგმა ა. კორნეიჩუკმა დაამთავრა სცენარი მხატვრულ ფილმ „ფრონტისათვის“ ამავე სახელწოდების თავისი პიესის მიხედვით. სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტმა სცენარი მიიღო და მისი დადგმა დაავალა რეჟისორებს გ. და ს. ვასილიევებს — ფილმების „ჩაპაევის“, „ვოლოჩაევკის დღეების“, „ცარიცინის დაცვის“ დამდგმელებს.

სურათ „ფრონტს“ გადაიღებენ ალმა-ატაში ცენტრალურ გაერთიანებულ კინოსტუდიაში. (საქტასი).

ვ. ი. ლენინის გამოუქვეყნებელი დოკუმენტები

ქვემოთ პირველად ქვეყნდება ვ. ი. ლენინის შემდეგი დოკუმენტები:

1) 1919 წლის 28 მაისის დეპეშა უკრაინის სამხედრო სახალხო კომისრის მოადგილის სახელზე; დეპეშა შეეხება სამხრეთში 1919 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში თეთრგვარდიელთა ჯარების შეტევის მომენტს, რამაც დონბასს საფრთხე შეუქმნა;

2) 1920 წლის 16 ივნისის წერილი მოსკოვის საბჭოს სახელზე სათბობით მოსკოვის უზრუნველყოფის სასწრაფო ღონისძიებათა შესახებ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი

დეპეშა უკრაინის სამხედრო სახალხო კომისრის მოადგილისადმი

ხარკოვი, 28 მაისი 1919

თავდაცვის საბჭომ ამა მაისის 26-ს დაადგინა დაუყოვნებლივ დასძრას ხარკოვიდან უკლებლივ ყველა მუშა ლუგანსკის დასაცავად. ეს დადგენილება შეასრულეთ უმოკლეს ვადაში, არ მოერიდოთ თვით უკიდურეს გადამჭრელ ღონისძიებებს, გამოიყენეთ სასჯელის უმაღლესი ღონისძიება ურჩების, ჩამორჩენილებისა და დაუდევრებისადმი. თქვენი დეპეშა 3.853-ის გამოგზავნის შესახებ მაკვირვებს უმნიშვნელო რიცხვის გამო. ასეთი ტემპით გამარჯვების მოპოვება შეუძლებელია. გააძლიერეთ მუშაობა. მიპასუხეთ დაუყოვნებლივ. თუ წახვიდეთ, დანიშნეთ მოადგილე.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლენინი

წერილი მოსკოვის საბჭოს სათბობის განყოფილებისადმი

16 ივნისი 1920

ძვირფასო ამხანაგებო! გიგზავნით რა ამასთან შრომისა და თავდაცვის საბჭოს 11 ივნისის დადგენილებას*), **დამატებით გთხოვთ უაღრესად სერიოზული** ყურადღება მიაქციოთ ამ საკითხს.

შეიძლება და **კიდევაც უნდა** ვუყოთ მობილიზაცია მოსკოვის უკლებლივ მთელ მოსახლეობას და **ხელით** გამოვათრიოთ ტყეებიდან საკმაო რაოდენობის შეშა (ვთქვათ, თითო კუბი მოზრდილ მამაკაცზე 3 თვეში—უფრო ზუსტად სპეცები გამოიანგარიშებენ; მე მაგალითისათვის ვამბობ) რკინიგზებისა და ვიწროლიანდაგიანი გზების სადგურებთან.

თუ **გმირული ღონისძიებანი** არ იქნა მიღებული, მე პირადად უნდა გავატარო თავდაცვის საბჭოსა და ცეკაში არა მარტო ყველა პასუხისმგებელი პირის დაპატიმრება, არამედ დახვრეტაც. უმოქმედობა და დაუდევრობა შეუწყნარებელია.

კომუნისტური სალამით ლენინი

*) შრომისა და თავდაცვის საბჭო ამ დადგენილებით მთავარ სატყეო კომიტეტს და მის ორგანოებს ადგილებზე ავალებდა ენერგიული ზომები მიეღოთ შეშით მოსკოვისა და სხვა სამრეწველო ცენტრების უზრუნველსაყოფად.

შეშის დამზადების, დატვირთვისა და გამოზიდვისათვის უნდა გამოეყვანათ მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობა სახლის კომიტეტების, პროფკავშირებისა და ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების საშუალებით (შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1920 წლის 11 ივნისის სხდომის ოქმი).

მისალმებანი საბჭოთა ხალხისადმი

ამხანაგ სტალინის სახელზე ქ. ტორონტოდან 18.000-იანი მიტინგისაგან „ყველაფერი ომისათვის“, რომელიც კანადის ტრედუნიონებმა მოაწყეს, მიღებულია შემდეგი მისალმება:

კანადის პროფკავშირების მიერ მეიპლ ლიფპარლენსში გამართული მიტინგი „ყველაფერი ომისათვის“, რომელზეც თავი მოიყარა 18.000 კაცმა, რათა მიესალმოს საბჭოთა სტუდენტების დელეგაციას, უაღრესად მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენ და პირობას გაძლევთ, რომ ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რაც კი შეგვიძლია, რათა მოვაახლოოთ დასავლეთში მეორე ფრონტის რაც შეიძლება მალე გახსნა და ამით გაერთიანებული ძალ-ღონით დავამარცხოთ კაცობრიობის მტერი.

გადაეცით ჩვენი სალამი სტალინგრადის გმირ დამცველებს და სახელოვან საბჭოთა ხალხს.

სულივენი,

კანადის ტრედუნიონთა კონგრესის თავმჯდომარის მოადგილე.

• • •

ირლანდია-ამერიკის თავდაცვის კომიტეტისაგან ამხანაგ სტალინის სახელზე მიღებულია შემდეგი შინაარსის დეპეშა:

ირლანდიელი წარმოშობის მილიონობით ამერიკელები აღტაცებას გამოსთქვამენ იმ ბრძოლის გამო, რომელსაც რუსი ხალხი ეწევა რუსეთის მიწა-წყლისათვის. ჩვენ და დანარჩენი ამერიკა საერთო მტრის გასანადგურებლად ვემზადებით. მალე რუს ხალხს მარტო მოგონებად დარჩება რუსეთის ტანჯვა. დახმარება მოახლოებულია. ამერიკის მთელი ძალღონე, მიმართულია იმისაკენ, რომ უზრუნველჰყოს ყველა ხალხთა და ყველა ადამიანთა ბუნებრივი უფლებების პატივისცემა.

ფრანსის მკეენი,

ირლანდია-ამერიკის თავდაცვის კომიტეტი.

სადილი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგ ი. ბ. სტალინთან ბ-ნ უ. უილკის პატივსაცემად

26 სექტემბერს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა სადილი გამართა კრემლში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის ბ-ნ უ. უილკის პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ ბ-ნი უ. უილკი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი ვ. სტენდლი, დიდი ბრიტანეთის ელჩი ბ-ნი ა. კერი, გენერალი ბრედლი, გენერალი ფაიმონვილი და სხვები, აგრეთვე ამხანაგები ვ. მ. მოლოტოვი, მარშალი კ. ე. ვოროშილოვი, ლ. პ. ბერია, ა. ი. მიქოიანი, ა. ს. შჩერბაკოვი, ადმირალი ნ. გ. კუზნეცოვი, ვ. გ. დეკანოზოვი, ს. ა. ლოზოვსკი და სხვებმ.

ბ-ნ უენდელ უილკის ყოფნა მოსკოვში

მოსკოვში ყოფნის დროს ბ-ნ უენდელ უილკის, ა. შ. შტატების პრეზიდენტ ბ-ნ ფრანკლინ რუზველტის პირად წარმომადგენელს, საუბარი ჰქონდა საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებთან, ხვდებოდა საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს და ეცნობოდა დედაქალაქის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იმ დაწესებულებათა და საწარმოთა საქმიანობას, რომლებიც თავდაცვისათვის მუშაობენ.

ბ-ნმა უ. უილკიმ იმგზავრა ფრონტზე რჟევის რაიონში, სადაც ბევრჯერ შეხვდა მეთაურებს, კომისრებს და წითელარმიელებს, აგრეთვე ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა გენერალ-ლეიტენანტ ლელიუშენკოსთან.

მოსკოვში ბ-ნმა უ. უილკიმ ინახულა ქალაქის საჰაერო თავდაცვის ერთ-ერთი ობიექტი, სამხედრო ჰოსპიტალი, ერთ-ერთი დიდი საქარხნო საწარმო, მეტრო, ლენინის სახელობის ბიბლიოთეკა, წითელი არმიის ცენტრალური სახლი, საკონდიტრო ფაბრიკა „კრასნი ოქტიაბრი“, დაწყებითი სასწავლებელი და სხვ.

ამ სტუმრობის დროს ბ-ნი უილკი ესაუბრა ბევრ მუშას, ინჟინერს, ექიმს, მასწავლებელს, მწერალს, საწარმოებისა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს.

გზად უცხოეთიდან მოსკოვს ბ-ნმა უილკიმ რამდენიმე დღე დაჰყო ქალაქ კუიბიშევს, სადაც ინახულა ერთ-ერთი ქარხანა, იმგზავრა დიდ საბჭოთა მეურნეობაში, დაესწრო სპექტაკლს სახელმწიფო აკადემიურ დიდ თეატრში და ბევრჯერ შეხვდა საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს.

„საბჭოთა საქართველო — ფრონტს“

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საქ. კორესპონდენტისაგან)

„პრავდა“ 25 სექტემბრის ნომერში სათაურით „საბჭოთა საქართველო—ფრონტს“ უძღვნის გვერდს საქართველოს მონაწილეობას დიდ სამამულო ომში. „პრავდა“ ათავსებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის გიორგი სტურუას სტატიას, რომელშიც ლაპარაკია საქართველოს შვილების გმირობაზე, რომლებიც ომის ფრონტებზე იბრძვიან მედგრად, როგორც შეჰფერის ქართველებს, მშვენიერი საქართველოს ახალგაზრდობას, აღზრდილს სამშობლოსადმი ღრმა სიყვარულის სულისკვეთებით.

„ჩვენ, მამებმა, რომლებმაც მათ სიცოცხლე მივეცით,—სწერს ამხ. სტურუა,—ჩავუნერგეთ მათ შეგნება, რომ სამშობლოს შეუბღალავი სიცოცხლეზე ძვირფასია. ვორონეჟთან ბრძოლებში გმირულად დაიღუპა ჩემი შვილიც, ტანკისტი ბორის სტურუა. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი შვილების გმირობით, ვამაყობთ მათი გმირული სიკვდილით და სამწუხარო ამბავს ვუპასუხებთ მებრძოლებისადმი მოწოდებით: უფრო მაგრად დასცხეთ მტერს!“

„პრავდა“ ათავსებს აგრეთვე რუდნევის კორესპონდენციას, რომელშიც ლაპარაკია საბჭოთა კავშირის გმირის მ. გახოკიძის გმირობაზე სევასტოპოლთან, ქ. თბილისის ბერიას სახელობის რაიონის სამხედრო კომისრის მაიორ ღლონტის სტატიას, მიძღვნილს წითელი არმიისათვის რეზერვების მომზადებისადმი, კრივცოვის კორესპონდენციას ფრონტისათვის საჭურვლის დამამზადებელი ქარხნის შესახებ, აგრეთვე სიმონ ჩიქოვანის ლექსს, თარგმნილს ადალისის მიერ.

გვერდში მოყვანილია დღევანდელი საქართველოს ცხოვრების მაჩვენებელი ციფრები და ფაქტები.

ვ. ყარა-მურზა

კაპიტან ბ. გ. სტურუას დაჯილდოება

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საქ. კორესპონდენტისაგან)

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ფრონტის სამხედრო საბჭომ კაპიტანი **ბორის გიორგის-ძე სტურუა** დააჯილდოვა **წითელი დროშის ორდენით.**

ვ. ყარა-მურზა

სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საქ. კორესპონდენტისაგან)

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სტალინგრადის ფრონტის სამხედრო საბჭომ წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა უმცროსი **შალვა სიმონის-ძე გოშაძე** და მედლით „მამაცობისათვის“ ლეიტენანტი **შოთა იდანეს-ძე ასლამაზაშვილი.**

ვ. ყარა-მურზა

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

26 სექტემბრის დილის ცნობა

25 სექტემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან **სტალინგრადის რაიონში, მოზდოკის რაიონში და სინიავინოს რაიონში.** სხვა ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

• • •

სტალინგრადის რაიონში გრძელდებოდა გააფთრებული ბრძოლები. ქუჩაში წარმოებულ შეუპოვარ ბრძოლაში ჩვენმა გვარდიის ნაწილმა მოსპო გერმანელთა 10 ტანკი და მტრის 285 ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა მოიგერიეს იერიში და გასწყვიტეს მტრის ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი. წამოღებულია 6 ტყვიამფრქვევი, 6 ნაღმსატყორცნი, 130 შაშხანა და საომარი მასალა.

• • •

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით მტერმა რამდენიმე კონტრიერიში მოიტანა, რომლებიც მოგერიებულ იქნა, ამასთან მას დიდი ზარალი მოუვიდა. 6 მსროლელთა ნაწილმა გასწყვიტა 300-მდე ჰიტლერელი და ხელთ იგდო 200.000 შაშხანის ვაზნა. სხვა უბანზე 5 შენაერთის მებრძოლებმა მოიგერიეს მტრის კონტრიერიში, წინ წაიწიეს და უფრო ხელსაყრელი ხაზები დაიკავეს. ამ ბრძოლის მსვლელობაში მოკლულია 600 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპობილია 10 ტანკი, 12 ქვემეხი, რამდენიმე ნაღმსატყორცნი და ტყვიამფრქვევი.

• • •

მოზდოკის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა მოიგერიეს მტრის ქვეითი ჯარისა და ტანკების იერიში. გერმანელებმა პირვანდელ პოზიციებზე დაიხიეს და ბრძოლის ველზე დასტოვეს 6 დაზიანებული ტანკი, 10 ავტომანქანა, 7 ქვემეხი, 13 ტყვიამფრქვევი და 200-მდე მოკლული და მძიმედ დაჭრილი ჯარისკაცი და ოფიცერი.

• • •

ნოვოროსიისკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი საზღვაო ქვეითი ჯარის ნაწილებმა მტერთან ბრძოლაში გასწყვიტეს რუმინელთა ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი, დააზიანეს და დასწვეს გერმანელთა 2 ტანკი და 3 ჯავშნიანი მანქანა. წამოღებულია დავლა და წამოყვანილია ტყვეები.

• • •

ქვემოთ ვაქვეყნებთ ამონაწერებს გერმანელთა 211-ე ქვეითი დივიზიის 317-ე პოლკის მე-9 ასეულის პირველი ოცეულის მეთაურის უნტერ-ოფიცერ ფრანც შტრეიხერის დღიურიდან.

„ჩვენ უნდა დავიკავოთ რუსთა წინააღმდეგობის კერები ტყეში. რუსები საუცხოოდ შეინიღბნენ და ესვრიან ჩვენს ჯარისკაცებს, რომელნიც ზედ ტყის პირას შეჯგუფდნენ. უეცრად გაისმის რუსთა გამაყრუებელი „ვაშა“... ბატალიონი უიმედოთ იხევს უკან. ოპერაცია ჩაიფუშა. ლეიტენანტი შნაიდერი დაჭრილია, უნტერ-ოფიცრები კრიშე, გროსი, ვაიმერი მოკლული არიან. მანესკრაინი და ჰირსბერგი უკვალოდ დაიკარგნენ. ეს იყო ერთ-ერთი სამწუხარო ფურცელი მე-9 ასეულის ისტორიაში... სულ უფრო და უფრო მიძლიერდება სურვილი მალე წავიდე აქედან.

... ჩვენში ახლა გავრცელებულია ხუმრობა „1942 წლის ნაღმძებნიაზე“. ამით გულისხმობენ რუს ქალებს, რომლებსაც ჩვენ დანაღმულ მინდვრებში ვერეკებით.

... საშინელი ამბებია. მოკლული არიან: უნტერ-ოფიცრები ჰელმი, გლება, ვალკი, ვინკლერი. ძალიან ბევრი დაჭრილია. ჩემს ოცეულში მარტო ორი კაცი დარჩა. რა საშინელი სანახავია ჩვენი ამხანაგების გვამები, რომლებიც შტაბელებად აწყვია.

ჯარისკაცები კვნესიან. ყველა ცდილობს ცოცხალი წავიდეს რუსეთიდან. არა მჯერა, რომ აქედან გავიდეთ. მე საბოლოოდ დამეკარგა მომავლის იმედი და ვფიქრობ, რომ რუსეთი ჩვენთვის საფლავი გახდება“.

• • •

კიროვოგრადის ოლქის სოფელ ანოვკაში კოლმეურნე ნაუმენკოს 7 წლის ვაჟმა ჩამოგლიჯა გერმანელთა კომენდანტურის ბრძანება და მისგან ქაღალდის გველი გააკეთა. გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა ბიჭი შეიპყრეს, დიდ ხანს აწამებდნენ და შემდეგ დახვრიტეს. კაპიტან ბრაუნის განკარგულებით ჰიტლერელმა ავაზაკებმა დასწვეს კოლმეურნე ნაუმენკოს სახლი, მთელი ოჯახი კი დააპატიმრეს და იძულებით სამუშაოზე გაგზავნეს.

• • •

როდოპის მთებში (ჩრდილოეთ საბერძნეთი) მოქმედმა ბერძენ პარტიზანთა რაზმმა თავდასხმა მოაწყო ოკუპანტთა ავტოკოლონაზე. პარტიზანებმა გასწყვიტეს 30-ზე მეტი ჰიტლერელი, ხელთ იგდეს შაშხანები და ვაზნები და მთებში მიიმალნენ.

26 სექტემბრის საღამოს ცნობა

26 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ გააფთრებულ ბრძოლებს მტერთან **სტალინგრადის რაიონში, მოზდოკის რაიონში და სინიავინოს რაიონში.** სხვა ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

• • •

25 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბნებზე მოსპეს ან დააზიანეს მტრის 30-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩააჩუმეს საველე არტილერიის 6 ბატარეის ცეცხლი, ააფეთქეს 3 საწყობი საომარი მასალა, ცეცხლი წაუკიდეს 7 სარკინიგზო ეშელონს, გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მტრის ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

• • •

სტალინგრადის რაიონში 5 ნაწილის მებრძოლებმა იერიში მიიტანეს გერმანელებზე და მთელი რიგი შენობებიდან განდევნეს ისინი. მტერმა მოკლულთა სახით 400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა. ხელთ ვიგდეთ 3 ტყვიამფრქვევი, 4 ნაღმსატყორცნი და ბევრი შაშხანა. ქალაქის განაპირა უბანში ჩვენი არტილერისტებისა და გვარდიელი ნაღმმტყორცნელების რამდენიმე ცეცხლით თავდასხმით გაწყვეტილია მტრის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი, მოსპობილია 3 ტანკი, 23 ავტომანქანა, 11 მოტოციკლი და ერთი საარტილერიო ბატარეა. სტალინგრადის სამხრეთით წითელი არმიის 5 ნაწილი აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწეოდა და გაჟლიტა მტრის 800-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. მოსპობილია გერმანელთა 11 ტანკი, 18 ავტომანქანა და 3 ნაღმსატყორცნი ბატარეა. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს გერმანელთა 150 ავტომანქანა სხვადასხვა საომარ ტვირთიანად.

• • •

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით საბჭოთა ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს და რამდენადმე წინ წაიწიეს. გერმანელები არაერთხელ გადმოვიდნენ კონტრიერიშზე, მაგრამ ყოველთვის ჩვენი ნაწილების დარტყმით პირვანდელ პოზიციებზე იხევდნენ. ბრძოლების მსვლელობაში ჰიტლერელებს დიდი ზარალი მოსდით.

გასული დღე-ღამის განმავლობაში გაჟლეტილია მტრის 2.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, დამწვარი და დაზიანებულია გერმანელთა 37 ტანკი, მოსპობილია 21 ქვემეხი, 8 ნაღმსატყორცნი ბატარეა, 32 ტყვიამფრქვევი, 3 ჯავშნიანი მანქანა და 12 სპეციალური ავტომანქანა. წამოღებულია დავლა და წამოყვანილია ტყვეები.

საბჭოთა მფრინავებმა და მეზენიტეებმა დღის განმავლობაში ჩამოაგდეს გერმანელთა 9 თვითმფრინავი.

• • •

მოზდოკის რაიონში გერმანელთა ქვეითმა ჯარმა ასობით ტანკის დახმარებით ხუთჯერ მოიტანა იერიში ჩვენი თავდაცვის ხაზებზე. მტრის ყველა იერიში მოგერიებულია. ამ ბრძოლის შედეგად ჰიტლერელებმა დაჰკარგეს 18 ტანკი და ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

• • •

ნოვოროსიისკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს მტრის დიდი ძალების იერიში, რომლებიც ცდილობდნენ ხელთ ეგდოთ ერთი მაღლობი. ამ მაღლობისათვის ბრძოლებში მოსპობილია გერმანელთა 1.150-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს 31 ტყვიამფრქვევი, ბევრი შაშხანა და საომარი მასალა.

• • •

სინიავინოს რაიონში ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მტრის იერიშებს. დღის განმავლობაში მოსპობილია გერმანელთა 10 ტანკი და ჩამოგდებულია 6 ბომბდამშენი.

• • •

ყირიმში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა გასწყვიტა 200-მდე გერმანელი ოკუპანტი, მოსპო 12 ავტომანქანა და გზატკეცილზე რამდენიმე ხიდი ააფეთქა.

• • •

გერმანელთა 72-ე ქვეითი დივიზიის 266-ე პოლკის მე-11 ასეულის ტყვე ჯარისკაცებმა ლეონ ზაშელმა და პაულ კრუშკემ განაცხადეს: „სევასტოპოლთან ბრძოლებში 72-ე დივიზია დამარცხებულ იქნა. ჩვენი პოლკის ასეულებში რამდენიმე კაცი დარჩა თითოეულში. მაგალითად, მე-11 ასეულში სულ რაღაც 8 ჯარისკაცი დარჩა. მალე ჩვენ შევსება მივიღეთ და დასავლეთის ფრონტზე გადაგვიყვანეს. ჩვენ პირდაპირ მარშიდან ჩაგვაბეს ბრძოლაში, და პოლკმა ორი დღის განმავლობაში კვლავ უდიდესი ზარალი ნახა. რუსებმა თავს დაგვატეხეს საშინელი საარტილერიო და სანაღმსატყორცნო ცეცხლი. ჯარისკაცები მორალურად იყვნენ დაცემულნი. მათთვის სულერთი იყო, რით გათავდებოდა ბრძოლა. ყველა ცდილობდა თავის შეფარებას, რათა როგორმე სიცოცხლე გადაერჩინა“.

• • •

თეთრფინელთა სადამსჯელო რაზმი სისხლისღვრით გაუსწორდა ლენინგრადის ოლქის სოფელ სოსნიცის მოსახლეობას. თეთრფინელები რომ სოფელში შემოიჭრნენ, მცხოვრებნი მოედანზე შეჰყარეს და მოსთხოვეს, გვიჩვენეთ, სად არის პარტიზანთა ბანაკიო. ყველა გლეხმა მდუმარედ მოისმინა ფინელი ოფიცრის მოთხოვნა და ერთი სიტყვაც კი არ დაუძრავს. მაშინ თეთრფინელებმა შეიპყრეს ხანში შესული კოლმეურნე ქუკოვი და ყველა მცხოვრების თვალწინ ჩამოახრჩეს იგი. რაკი ამის შემდეგაც კოლმეურნეებისაგან ვერავითარი ცნობის მიღებას პარტიზანების შესახებ ვერ ეღირსნენ, ბანდიტებმა სოფლის 20 მცხოვრები მოჰკლეს.

სტალინგრადის რაიონში

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საქ. კორესპონდენტისაგან)

სტალინგრადის ქუჩებში სულ უფრო და უფრო გაძლიერებული დაძაბვით გრძელდება შეუპოვარი ბრძოლები. გვიან ღამემდე არ სცხრება ბრძოლები ქუჩებსა და სახლებში. გვარდიელები მტკიცედ იგერიებენ მტრის შემოტევას.

„**კრასნაია ზვეზდას**“ კორესპონდენტი დეპეშით იტყობინება, თუ რა გააფთრებული ხასიათი მიიღო ბრძოლამ ერთ დიდ შენობასთან.

„გერმანელები შენობის ყველა სართულში ჩასაფრდნენ, განუწყვეტლივ ისროდნენ ავტომატებს და კონტროლს უწევდნენ ყველა მისადგომს. იქ მეოთხე გერმანელი მეკორექტე არტილერისტები წარმართავდნენ თავიანთი ბატარეების ცეცხლს. გვარდიელები შეიჭრნენ სახლში, იბრძოდნენ კიბის ბაქნებზე და დერეფნებში. ზოგიერთი ოთახი რამდენჯერმე გადადიოდა ხელიდან ხელში. მაგრამ შენობის მთლიანად დაკავება ვერ მოხერხდა. მაშინ გადასწყდა აფეთქებინათ ეს სახლი.

გვარდიელები — ლეიტენანტი **რუმაკოვი**, სერჟანტები **დუბოვოი** და **ბუგაევი**, წითელარმიელები **კლიმენკო** და **მესხიშვილი** მტრის ცეცხლქვეშ შეიპარნენ სახლში და თითოეულმა მათგანმა 25 კილოგრამი ფეთქებადი ნივთიერება შეიტანა. როდესაც აფეთქება მოხდა, შენობის კედლები ჩამოინგრა და თავის ქვეშ დამარხა რამდენიმე ათეული ფაშისტი მეავტომატე“.

ვ. ყარა-მურზა

კავკასიის მთებში

მოქმედი არმია, 24 სექტემბერი. კავკასიის მთებში არც დღისით და არც ღამით არ ცხრება გააფთრებული ბრძოლები, რომლებიც ახალ-ახალ საბჭოთა დევგმირებს შობენ. უფროსი ლეიტენანტ კოჩკაძის ბაჩილაძის ოცეულს დაევალა ერთი მაღლობის ფერდობის დაცვა. ფაშისტმა დამპყრობლებმა არაერთხელ სცადეს იერიში მიეტანათ ჩვენს მეომრებზე, მაგრამ ყოველთვის სასტიკ წინააღმდეგობას ხვდებოდნენ და უწესრიგოდ იხევდნენ უკან. მაშინ ჰიტლერელებმა ოცეულის განლაგებას არტილერიის გააფთრებული ცეცხლი დაუშინეს. პატარა უბანზე, სადაც სიტყვასიტყვით ცეცხლის ხვავი დატრიალდა, ხელყუმბარების და ნაღმების აფეთქება არ უნდა დარჩენილიყო.

საარტილერიო მომზადება რომ გათავდა, მეავტომატეთა სამი ასეული გულდაჯერებულ წამოვიდა იერიშზე. ჩვენი მებრძოლები გერმანელებს ცეცხლით შეეგებნენ. ოსტატურად შენიღბულ და ჩასაფრებულ ოცეულს არავითარი ზარალი არ მოსვლია და იგი რკინის კედლად გადაეღობა მტერს. უშიშარი მეთაური ზაქარია ბაჩილაძე დაუღალავად ურტყამდა ჰიტლერელებს. ერთმა ავტომატით მან 25 ფაშისტი გაჟლიტა. დისკოში ვაზნები რომ გამოელია, მან შაშხანით დაუწყო ხოცვა ჰიტლერელებს.

სამი საათის ბრძოლის შემდეგ ფაშისტთა ბატალიონმა უკან დაიხია. ამ დროს დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა მეზობელ ხაზებზე, რომელსაც სხვა ოცეული იცავდა. მან თავის მებრძოლთა ჯგუფით მიეშველა ბაჩილაძე. ჩასაფრებული ფაშისტი სნაიპერის ტყვიით იგი მძიმედ დაიჭრა. ბაჩილაძემ გაუძლო მწვავე ტკივილს, მთებში ერთ კილომეტრამდე გზა გაიარა და ჩვენს ქვედანაყოფს შეუერთდა. მისი ოცეულის მებრძოლებმა დაჭრილი მეთაური სანიტარულ ნაწილში გაგზავნეს, თვითონ კი კვლავ მედგრად იცავდნენ მათ მიერ დაკავებულ ხაზებს. ქართველი ხალხის მამაცი, სახელოვანი შვილის ზაქარია ბაჩილაძის მაგალითი მეომრებს სამხედრო გმირობისაკენ აღაფრთოვანებს.

ფრონტის სხვა უბანზე ბრძოლის წარმოების შესანიშნავი ოსტატობა გამოიჩინა სერჟანტ ვაიდოფოროვის ნაღმსატყორცნელებმა. მისი გუნდის მებრძოლებმა შემდეგ ნაღმსატყორცნი ცეცხლით მთის ფერდობზე დადგეს და ერთი დღის განმავლობაში გაანადგურეს მტრის რამდენიმე მიწური საცეცხლე წერტილი, მოსპეს საომარი მასალით დატვირთული ტრანსპორტი და გაჟლიტეს ორმოცდაათამდე ჰიტლერელი.

უკანასკნელ ხანს იმ უბნებზე, სადაც მეთაურ ლისაძის ნაწილები მოქმედებენ, მტერი უკუქცეულ იქნა. ჩვენმა მეომრებმა რამდენიმე ათასი ფაშისტი გასწყვიტეს. მეორე მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა ხელთ იგდეს ორი მნიშვნელოვანი მაღლობი, მტრის ზურგში გავიდნენ და მას უკანდასახევი გზა გადაუჭრეს.

(**მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ**).

წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

ყველაფერი ფრონტისათვის, გმირი წითელი არმიის გამარჯვებისათვის!

აფხაზეთის საკოლმეურნეო მინდვრებში

სოხუმი („კომუნისტის" კორ.). აფხაზეთის საკოლმეურნეო მინდვრებში ამჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს წლევანდელი უხვი საკოლმეურნეო მოსავლის ასაღებად. კოლმეურნეები ეცნობიან ალტაის მხარის სმოლენსკოეს რაიონის კოლმეურნეების, ტრაქტორისტებისა და კომბაინერების მიმართვას წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ და ახალ, დამატებით საწარმოო ვალდებულებებს იღებენ.

მოწინავე კოლმეურნეობები უკვე ამთავრებენ თამბაქოს შეტეხის სახელმწიფო გეგმის შესრულებას და მაღალხარისხოვან თამბაქოს ფოთოლს აბარებენ სახელმწიფოს, მათ უკვე ორგანიზებულად დაიწყეს სიმინდისა და სხვა მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება.

კოლმეურნეები საქმით უპასუხებენ ალტაელ კოლმეურნეთა, ტრაქტორისტთა და კომბაინერთა მოწოდებას. ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობა „წითელმა აჭიუბჟამ" ნაცვლად სექტემბრის გეგმით გათვალისწინებული 1.370 კილოგრამისა, სახელმწიფოს უკვე ჩააბარა 4.782 კილოგრამი თამბაქო, კოლმეურნეობა „წითელმა არაგიჩმა" სამი ტონით გადაამეტა სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩაბარების გეგმას.

სოხუმის რაიონის სოფელ მერხეულის კოლმეურნეობა „გამარჯვების" მეორე ბრიგადამ, რომელსაც ამხ. მარიამ კოსტინენკო ხელმძღვანელობს, წარმატებით შეასრულა საშემოდგომო სამუშაოთა გეგმები. ამ კოლმეურნეობაში დღეში საშუალოდ აწარმოებენ 6–7 ათასი ზონარმეტრი თამბაქოს შეტეხასა და ასხმას. იმავე რაიონის სოფ. გულრიფშის კოლმეურნეობა „კოლხიდის" ამხ. ნ. ვეკუას რგოლმა იკისრა ვალდებულება გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბაროს რამდენიმე ცენტნერი თამბაქო. ამ ვალდებულების შესასრულებლად კოლმეურნეებმა უკვე შეტეხეს და ასხეს 200 ზონარმეტრზე მეტი თამბაქო.

კოლმეურნეებს, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს მტკიცედ აქვთ შეგნებული, რომ დღეს, როგორც არასოდეს, საჭიროა თავდადებული მუშაობა წითელი არმიის, სამშობლოს დასახმარებლად, რათა უკუგდებულ და განადგურებულ იქნან გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები. წითელი არმიისადმი დახმარების ამოცანას ექვემდებარება ახლა აფხაზეთის კოლმეურნეთა მთელი საქმიანობა.

გ. მერკვილაძე

გურჯაანელ ტრაქტორისტთა ვალდებულებანი

გურჯაანი („კომუნისტის" კორ.). მტს-ის ტრაქტორისტები გულდასმით გაეცნენ ალტაის მხარის სმოლენსკოეს რაიონის კოლმეურნეთა, ტრაქტორისტთა და კომბაინერთა მოწოდებას და კისრულობენ დამატებით ვალდებულებებს, რათა ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავს.

მტს-ის მე-13 ბრიგადის ბრიგადირმა ალექსანდრე კობახიძემ იკისრა საშემოდგომო ხვნის გეგმა 145 ჰექტარის გადაჭარბებით შეასრულოს და 10 პროცენტით დაზოგოს საწვავი მასალა. მე-11 ბრიგადის ბრიგადირმა გიგა ქევხიშვილმა ვალდებულება აიღო გეგმის გადამეტებით საშემოდგომოდ მოხნას 170 ჰექტარი, ამავე ბრიგადის ტრაქტორისტმა აბრია კობახიძემ იკისრა საშემოდგომო ხვნის გეგმა 200 პროცენტით შეასრულოს და საწვავი დაზოგოს 10 პროცენტის რაოდენობით.

ხვნა-თესვის გეგმების 180 პროცენტით შესრულება იკისრეს მე-4 ბრიგადის ბრიგადირმა პეტო სეფიაშვილმა და ტრაქტორისტმა შაქრო არჯევანიშვილმა.

მტს-ის კოლექტივმა იკისრა საშემოდგომო ხვნა-თესვის გეგმები 15 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულოს და საწვავ-საცხები მასალის მომჭირნეობა გასწიოს 10 პროცენტის რაოდენობით.

შ. მაჭავარიანი

ალტაელების პასუხად

ხაშური (საქდესი). ალტაის მხარის სმოლენსკოეს რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანების მოწოდებამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა ხაშურის რაიონის კოლმეურნეთა შორის. კოლმეურნენი და ტრაქტორისტები ერთსულოვნად ებმებიან წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ახალ-ახალ ვალდებულებებს კისრულობენ.

სოფ. ხცისის კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა, რომ შემოდგომის თესვას და შაქრის ჭარხლის ამოღება-ჩაბარებას ვადამდე ადრე დაამთავრებს, ხოლო მზრალად ხვნის გეგმას 20 პროცენტით გადააჭარბებს.

წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში ჩაება აგრეთვე ცხრამუხის კოლმეურნეობის ყველა ბრიგადა, რომლებმაც უკვე 100 ჰექტარზე მეტი ხორბალი დათესეს.

ტრაქტორისტებმა ამხ. ბარბაქაძემ, მჭედლიძემ და ქიტიაშვილმა იკისრეს წლიური საწარმოო გეგმის 7 ნოემბრისთვის 55 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება, ხოლო ჭარხლის მექანიზებული ამოღების გეგმისა—150 პროცენტით.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების გზით

მაიაკოვსკის რაიონის მეორე ობჩის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა წარმატებით ასრულებს სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. წელს ჩვენს კოლმეურნეობაში მოსავალი კარგია. გასულ წელთან შედარებით ერთწლიანი კულტურები (სიმინდი, სოია და სხვ.) სამმაგ მოსავალს მოგვცემს.

მეურნეობის ძირითადი დარგი მევენახეობაა. ჩვენც მას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ. ვენახები წელს კარგი გვაქვს და სახელმწიფოსაც გათვალისწინებულ გეგმაზე გადამეტებით ჩავაბარებთ ყურძენს. ერთწლიანი კულტურების მიხედვით შრომადღის ღირებულება სამმაგად გაიზრდება, ხოლო ყურძნის მოსავლის მიხედვით — ხუთმაგად.

წელს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ მეცხოველეობას. მეცხოველეობის სულადობის ზრდის წლიური გეგმა უკვე შევასრულეთ. პირუტყვი უზრუნველყოფილია საკვებით. ზამთრისათვის დამზადებულია 100 ცენტნერი თივა და 20 ტონა სილოსი. გვაქვს აგრეთვე მეღორეობისა და მეფრინველეობის ფერმები, სადაც მოშენების გეგმები გადაჭარბებით არის შესრულებული. გვყავს ფუტკარი, გვაქვს ხეხილის ბაღი.

ჩვენი კოლმეურნეობის ასეთ წინსვლას ხელს უწყობს საუკეთესო ბრიგადირთა და კოლმეურნეთა დაუღალავი შრომა. ბრიგადირები: ვ. მაჩიტიძე, ს. აბულაძე, ვ. შველიძე, ო. შველიძე, კოლმეურნეები: ვ. შველიძე, შ. გძელიძე, ბაბიკა გუმბერიძე, კატო შველიძე და სხვები თავდადებული შრომის მაგალითებს იძლევიან. განსაკუთრებით აღსანიშნავია 70 წლის მოხუცის ლიდა გძელიძის თავდადებული შრომა. მას უკვე 100 შრომადღეზე მეტი აქვს გამომუშავებული.

წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება, რომელშიაც ახლა ჩაება ჩვენი კოლმეურნეობა, გვავალებს კიდევ უფრო უკეთესად ვიმუშაოთ, პირნათლად შევასრულოთ ახლად ნაკისრი ვალდებულებები, რომ დიდი ოქტომბრის რევოლუციის 25 წლისთავს ახალი წარმატებებით შევხვდეთ.

დ. ჭახიძე
მაიაკოვსკის რაიონის მეორე ობჩის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

გერანის აღება აფხაზეთში

სოხუმი („კომუნისტის" კორ.). აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაიწყო გერანის მოსავლის მასობრივი აღება. გერანის მოსავალი წელს შედარებით მაღალია. განსაკუთრებით აქტიურად მუშაობენ ამ მხრივ სოხუმის რაიონის კოლმეურნეობები. სოფ. ბაბუშარის სტალინის სახელობის და ბერიას სახელობის კოლმეურნეობებმა უკვე აიღეს და გადამამუშავებელ ქარხანას ჩააბარეს 20 ტონაზე მეტი გერანის მწვანე მასა.

გერანის აღება ყველგან წარმატებით მიმდინარეობს.

გეგმის შესრულება

წალენჯიხის ლ. ბერიას სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა, რაც ითვალისწინებდა 800 ტონა ჩაის ფოთლის ჩაბარებას, 103,4 პროცენტით შეასრულა. პირველი ხარისხის ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით. საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა წინასაოქტომბრო სოცშეჯიბრების საფუძველზე აიღო ვალდებულება გეგმის გადამეტებით მოკრიფოს წელს 100 ტონა ჩაის ფოთოლი.

წალენჯიხის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **ფაჩულია**

№ 4 კონიაკ-არყის ქარხნის კოლექტივის წარმატება

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატმა აგვისტოში საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის თბილისის № 4 კონიაკ-არყის ქარხანას მიაკუთვნეს მესამე ადგილი და მისცეს ფულადი ჯილდო 40.000 მანეთის რაოდენობით. აქედან 20.000 მანეთი საუკეთესო სტახანოველების დასაჯილდოებლად, ხოლო 20.000 მანეთი—ქარხნის შინასაყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

კონიაკ-არყის ქარხანამ აგვისტოს საწარმოო დავალება გადაჭარბებით შეასრულა,—გეგმის გადამეტებით გამოუშვა 88.300 მანეთის პროდუქცია, 0,5 პროცენტით დაზოგა სპირტეული და საგრძნობლად გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი. მუშები ყოველდღიურ ნორმებს საშუალოდ 165 პროცენტით ასრულებენ, ხოლო ქარხნის სტახანოველები გ. ფოცხიშვილი, ზ. ქრისტესაშვილი, ნ. მზარეულიშვილი, ნ. ჩხაბერიძე და სხვ. სისტემატურად ორ-ორ ნორმას იძლევიან.

ლენინის ორდენოსანი ქარხნის მიმართვამ წინასაოქტომბრო შეჯიბრების გაშლის შესახებ კიდევ უფრო გაზარდა კონიაკ-არყის ქარხნის მუშათა შრომითი ენტუზიაზმი. სპეციალისტებმა და სტახანოველმა მუშებმა, რომლებიც ჩაებნენ წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში, აიღეს ახალი კონკრეტული ვალდებულებანი.

მთლიანად ქარხნის კოლექტივმა იკისრა სექტემბრის დავალება გაენაღდებინა 10 დღით ადრე, ხოლო წლიური გეგმა შეასრულოს—7 ნოემბრისათვის. ქარხანამ პირველი ვალდებულება უკვე პირნათლად გაანაღდა. მან სექტემბრის დავალება 20 სექტემბრისათვის მთლიანად შეასრულა და მნიშვნელოვანი რაოდენობით დაზოგა სპირტეული.

წლიური გეგმა 3 თვით ადრე შეასრულეს

ქუთაისი („კომუნისტის" კორ.). ქუთაისის ადგილობრივი მრეწველობის სალებავების ქარხანამ წლიური საწარმოო გეგმა 3 თვით ადრე გადაჭარბებით შეასრულა, — გეგმის გადამეტებით გამოუშვა 164.000 მანეთის პროდუქცია. წლის ბოლომდე ქარხანა დამატებით გამოუშვებს 400.000 მანეთის პროდუქციას.

ქარხნის საუკეთესო სტახანოველები არიან გორაძე, გონჩაროვა, ლეჟავა, რუბაკოვა და სხვ.

ს. ჟურაშვილი

სტალინგრადის რაიონში

მოქმედი არმია, 26 სექტემბერი. (საქდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). გუშინ გერმანელთა ქვეითი ჯარის ერთი დაჯგუფება ტანკების დახმარებით ცდილობდა იერიში მოეტანა მაღლობებზე ქალაქის ჩრდილოეთ გარეუბანში.

ჩვენმა ნაწილებმა ოსტატური მანევრებით, კონტრიერიშებზე გადასვლით მოიგერიეს მტრის შემოტევა. გვარდიის 6 ნაწილის ნაღმმტყორცნელებმა ზუსტი ზალპებით დღის განმავლობაში გასწყვიტეს დიდძალი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და მოსპეს ბევრი ავტომანქანა, 3 ტანკი და ერთი საარტილერიო ბატარეა.

ქალაქის სხვა ნაწილში საბჭოთა ქვეითებმა ღამის ბრძოლაში გასწყვიტეს მტრის 400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს ბევრი ტექნიკა და ხელთ იგდეს ტყვეები და დიდი ალაფი. ამ უბანზე ჩვენმა ჯარებმა კვლავ წინ წაიწიეს და მტრისაგან გასწმინდეს მთელი რიგი შენობები.

ბრძოლების მსვლელობაში საბჭოთა მეომრები დიდ ინიციატივას, მოსაზრებულობასა და მოხერხებულობას იჩენენ. ჩვენი მებრძოლები ყოველ ნაბიჯზე უგებენ მტერს მახეებს, ხაფანგებს და უწყობენ ჩასაფრებას. იციან რა, რომ ჰიტლერელებს არ უყვართ ღამის ბრძოლა, წითელარმიელები ყოველღამე აწყობენ გამოხდომას მტრის განლაგებაში. უფროსმა სერჟანტმა ალექსანდრე დაუიმინმა ღამის ერთი გამოხდომის დროს 20 გერმანელი მოკლა. იგი შეიპარა მტრის მიერ დაკავებულ ქუჩაში, აეიდა სახლის სხვენზე და დახოცა მტრის მეტყვიამფრქვევეთა ორი გუნდი, ტყვიამფრქვევები კი თავის ნაწილში მოიტანა.

გვარდიის სერჟანტ სტეფანე უსტიუგოვის ათეული მტრის ტერიტორიაზე მყოფ სახლში შეიპარა და შენობის ფანჯრებიდან ავტომატების ჯერებით გასწყვიტა 23 გერმანელი ჯარისკაცი და მათი ოფიცერი. უფროსმა სერჟანტმა კუშნეროვმა ფაშისტთა 4 ტანკი დააზიანა, ხოლო როცა ყუმბარები გამოელია, კუშნეროვმა ხელი მოჰკიდა ავტომატს და სნაიპერულად იწყო სროლა გერმანელთა მანქანების სათვალთვალო ჭუჭრუტანებში.

გერმანელების ზარალი სტალინგრადის რაიონში უზარმაზარია. ამას ერთსულოვნად ადასტურებს ყველა ტყვე. გერმანელთა 671 ქვეითი პოლკის მე-3 ასეულის ჯარისკაცმა ვილჰელმ დისკოვსკიმ განაცხადა: „მე-3 ასეულში 180 კაციდან პირველივე ბრძოლის შემდეგ 42 ჯარისკაცი-ღა დარჩა, ხოლო მეორე ბრძოლის შემდეგ—20".

დ. ზიუკინი

მოზდოკის რაიონში

მოქმედი არმია, 26 სექტემბერი (საქდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). სისხლისმღვრელი ბრძოლები მოზდოკის რაიონში არა სწყდება არც დღისით და არც ღამით. მტერი, მიუხედავად უდიდესი ზარალისა ცოცხალი ძალის და ტექნიკის მხრივ, თავს არ ანებებს ცდებს—გაარღვიოს ჩვენი თავდაცვა. ჩვენი ქვეითი და ცხენოსანი ჯარი, არტილერია, ავიაციის აქტიური დახმარებით, ჰქანცავენ მტრის ძალებს, კონტრიერიშებზე გადადიან და მტერს თავს ახვევენ ბრძოლებს იქ, სადაც იგი სრულიადაც არ მოელოდა. ჩვენი მებრძოლების სიმტკიცით, მათი აქტიური თავდაცვით მტერი შეჩერებულია. ჰიტლერელებმა მოზდოკის რაიონში უკვე დაჰკარგეს ათასობით ჯარისკაცი და ოფიცერი.

გუშინ მთელი დღისა და ღამის განმავლობაში ერთ-ერთ უბანზე, სადაც ერთი დღის წინათ ჩვენმა ნაწილებმა გერმანელები ცეცხლის რკალში მოაქციეს, გააფთრებული ბრძოლა სწარმოებდა. ბრძოლა დღესაც გრძელდება. საბჭოთა ჯარები იგერიებენ მტრის შემოტევას და კონტრიერიშებზე გადადიან. მტერს დიდი ზარალი მოსდის.

ბრძოლის რაიონი ნისლშია გახვეული, ხილვადობა განსაკუთრებით ცუდია. ჩვენმა მებრძოლებმა კარგად შეისწავლეს ადგილმდებარეობა და მოხერხებულად იყენებენ არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებს ფარული გადაჯგუფებისათვის და მტრისადმი უეცარი კონტრდარტყმებისათვის, ალბათ, იმ მიზნით, რომ ჩვენი ძალების ნაწილი მოეშორებინათ იმ უბნისათვის, სადაც მეორე დღე-ღამეა ბრძოლა სწარმოებს, ჰიტლერელები გუშინ კონტრიერიშზე გადმოვიდნენ იმ უბანზე, რომელსაც გვარდიის 6 ნაწილი იცავს. ფაშისტებმა გვარდიის პოზიციების წინააღმდეგ 100 ტანკი გამოუშვეს. გვარდიელები დაელოდნენ, სანამ მტრის მანქანების მოწინავე კოლონები დამიზნებული სროლის მანძილზე მოვიდოდნენ, და სროლა აუტეხეს მათ. არტილერიის ყუმბარებით და ჯავშანგამტანი ტყვიებით მტრის 8 ტანკს ცეცხლი გაუჩნდა. ჰიტლერელებმა აქეთ-იქით წყვეტება იწყეს. გვარდიელთა მარჯვე ცეცხლით დაზიანებულ იქნა კიდევ მტრის 10 მანქანა. გვარდიელები კონტრიერიშზე გადავიდნენ. მტერი შედრკა და წინანდელ პოზიციებზე დაიხია.

ლეიტენანტ რიაბჩუკის ბატარიაზე მოდიოდა ორი მძიმე და ერთი საშუალო ტანკი. უფროს სერჟანტ სისოევისა და სერჟანტ დენისოვის საქვემეხო გუნდებმა ფაშისტთა ტანკები 60-70 მეტრზე მოუშვეს და მიბრჯენ სროლით დააზიანეს ისინი. უმცროსმა ლეიტენანტმა ბურმისტროვმა სამი გრანატით მტრის ორი ტანკი დააზიანა. უსახელო მაღლობისათვის ბრძოლაში მემიზნემ სერჟანტმა დანილოვმა 76-მილიმეტრიანი ზარბაზნით მტრის ხუთი ტანკი დააზიანა.

გ. ოზაროვსკი

სინიავინოს რაიონში

ვოლხოვის ფრონტი, 26 სექტემბერი (საქდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). პირველ კონტრიერიშებში რომ მარცხი განიცადა, გერმანელთა სარდლობამ სინიავინოს რაიონში ახალი რეზერვები—ქვეითი ჯარი, ტანკები, ავიაცია მოიყვანა. ჰიტლერელები ცდილობენ კონტრშეტევაზე გადმოსვლას. ჩვენი ნაწილები მტკიცედ იცავენ დაკავებულ ზღუდეებს, ცალკეულ უბნებზე კი თვითონ მიაქვთ იერიში მტერზე. განუწყვეტლივ სწარმოებს შეუპოვარი, გააფთრებული ბრძოლები. უდიდესი ზარალის ფასად გერმანელ მეავტომატეთა ცალკეულმა ჯგუფებმა მოახერხეს ჩვენს საბრძოლო წყობილებებში შემოჭრა. ამ ჯგუფებს აიზოლირებენ და სპობენ საბჭოთა მებრძოლები.

იმ ქვეგანაყოფმა, რომელსაც არონიჩევი მეთაურობს, დღის განმავლობაში მოიგერია მტრის ჭარბი ძალების რამდენიმე კონტრიერიში. საბჭოთა მეომრებმა გასწყვიტეს 350-ზე მეტი ჰიტლერელი და ხელთ იგდეს ოთხი ტყვე. ამხ. პეტროვის ქვეგანაყოფის ზურგში შემოძვრა მტრის მეავტომატეთა ასეული. წითელარმიელებმა სწრაფი დარტყმით გაანადგურეს მტერი და მოსპეს ფაშისტები.

აქტივობას იჩენს მტრის ავიაციაც. გერმანელთა თვითმფრინავებს იერიში მოაქვთ ჩვენს საბრძოლო წყობილებებსა და კომუნიკაციებზე. მათ ხვდება საზენიტო არტილერიის გადამღობი ცეცხლი, განუწყვეტლივ ჩაღდება საჰაერო ბრძოლები. უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში ჩამოგდებულია ფაშისტთა რამდენიმე ათეული თვითმფრინავი.

ჰიტლერელთა ახალ რეზერვებს დიდი ზარალი მოსდით. გერმანელთა 24-ე ქვეითი დივიზიის 32-ე ქვეითი პოლკის ტყვე ეფრეიტორმა აჩვენა, რომ მათმა პოლკმა ბრძოლების რამდენიმე დღის განმავლობაში თავისი შემადგენლობის ნახევარზე მეტი დაჰკარგა. ასეულებში 15-18 კაცი დარჩა თითოეულში.

ვ. შილკინი

ინგლის-გერმანიის ომი ჰაერში

ლონდონი, 26 სექტემბერი (საქდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 25 სექტემბრის ღამის განმავლობაში ინგლისის თვითმფრინავები თავს ესხმოდნენ მტრის გემებს ჰოლანდიის ნაპირებთან და ბა-დე-კალეში საფრანგეთის ნაპირთან. იერიშების შედეგის გამორკვევა ძნელია, მაგრამ შემჩნეულია, რომ ბომბები პირდაპირ მოხვდა საშუალო ზომის საჰაერო გემს ჰოლანდიის ნაპირებთან.

მტრის თვითმფრინავებმა 25 სექტემბერს ღამით ბომბები ჩამოჰყარეს ინგლისის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ერთ-ერთ პუნქტში, რამაც ერთგვარი ზარალი გამოიწვია, არის მცირე რაოდენობის მსხვერპლი.

ინგლისის ჯარების გამოხდომა მტრის ზურგში ახლო აღმოსავლეთში

ლონდონი, 26 სექტემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, ინგლისის ჯარებმა 500 მილი გაიარეს უდაბნოში ღერძის ქვეყნების ხაზის ზურგში და ამას წინათ გამოხდომა მოახდინეს ჯალოს (ლიბია) ოაზისის წინააღმდეგ და ბენგაზისა და ბარკის რაიონში. ამ რეიდის განმავლობაში მტერს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს. ბენგაზის რაიონში მოსპობილი ან დაზიანებულია მტრის მიწაზე მდგომი 30-მდე თვითმფრინავი. გარდა ამისა, ჩამოგდებულია რამდენიმე თვითმფრინავი, რომლებიც საიმპერიო ჯარებზე იერიშის მიტანას ცდილობდნენ. ამ ოპერაციებში მონაწილე არტილერიამ წარმატებით დაუშინა მტრის სხვადასხვა ობიექტს, მათ რიცხვში სამხარი საწყობებს. რეიდში მონაწილე ძალებს რიცხვს არ ასახელებენ, თუმცა ისინი, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყვნენ.

რეიდი სრულიად მოულოდნელი იყო მტრისათვის. განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი აღმოჩნდა რეიდი ოაზის ჯალოს წინააღმდეგ, რომელიც დაკავებულიც კი იყო ინგლისის ჯარის ნაწილების მიერ და ისინი მას დაახლოებით 6 დღის განმავლობაში ინარჩუნებდნენ. ოაზისი მხოლოდ მას შემდეგ იქნა დატოვებული, როცა მას მოუახლოვდნენ იტალიელთა დიდი მოტორიზებული ძალები. მტრის გარნიზონებსა და სამხედრო ობიექტებს ოაზის ჯალოში დიდი ზარალი მიადგა. თავიანთი ამოცანების შესრულების შემდეგ ინგლისელთა ძალები თავის ბაზებში დაბრუნდნენ.

შვეციის საზღვრების დარღვევა გერმანელთა თვითმფრინავების მიერ

სტოკჰოლმი, 26 სექტემბერი (საქდესი). შვეციის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, რომ 24 სექტემბერს საღამოს უცხოელთა თვითმფრინავების მცირე რიცხვმა, რომელთაგან ორი, როგორც უკვე გამორკვეულია, გერმანული იყო, პაიალის რაიონში და მის სამხრეთით შვეციის საზღვარი გადაიფრინა. თვითმფრინავებმა ფრენა მოახდინეს საზღვრის ხაზის გასწვრივ სამხრეთით ჰაპარანდამდე. მხოლოდ ჰაპარანდასთან ერთ-ერთ თვითმფრინავს გასაფრთხილებლად ესროლეს.

გაზეთ „სვენსკა დაგბლადეტი" სწერს: „ამ ბოლო დროს გერმანელთა თვითმფრინავების ფრენა ჰაპარანდაზე ისეთი ხშირი მოვლენა შეიქმნა, რომ ქალაქის მცხოვრებთა აღშფოთება სულ უფრო და უფრო მატულობს. უკანასკნელ კვირაში ჰაპარანდაზე გამოჩნდა გერმანელთა სულ ცოტა ხუთი თვითმფრინავი. ყველა შემთხვევაში ისინი ფინეთის მხრიდან მოფრინდნენ ხოლმე, და მცირე ან საშუალო სიმაღლეზე დაფრინავდნენ კარგი ხილვადობისას. გაკეთებდნენ წრეს გამაგრებულ რაიონზე ჰაპარანდის ახლოს და, როგორც წესი, ფინეთში ბრუნდებოდნენ".

ოკუპანტების სისხლიანი ბოროტმოქმედებანი საბერძნეთში

დამშეულთა დემონსტრაციის დახვრეტა ათენში

სტამბოლი, 25 სექტემბერი (საქდესი). უკანასკნელ თვეებში რამდენიმე ათასი ბერძენი, რომლებიც შიმშილით სიკვდილისა და ჰიტლერელთა ტერორისაგან თავის გადარჩენას ცდილობდა, ნავებით იზმირის (თურქეთი) რაიონში გამოიქცა. აქედან ისინი სირიასა და პალესტინაში გაგზავნეს. გამოქცეულნი მოგვითხრობენ გერმანელ-იტალიელ ოკუპანტთაგან ბერძენი ხალხის გენმაზომიერი ამოწყვეტის საშინელ ფაქტებზე. მიუხედავად იმისა, რომ ათენში წელს შიმშილით დაიხოცა 40.000 კაცი, მთელი აღებული მოსავალი რეკვიზირებულია. ბერძენი მოსახლეობისათვის დაწესებულია პურის ნორმა დღეში 70 გრამის რაოდენობით კაცზე. მაგრამ ამ პურსაც მთელ კვირაობით არ იძლევიან.

ამას წინათ ათენში იფეთქა მოსახლეობის დემონსტრაციამ, რომელიც შიმშილით იხოცება. 400-მდე დემონსტრანტი ოკუპანტებმა დახვრიტეს.

საოკუპაციო ხელისუფლებამ გამოაცხადეს, რომ მათდამი ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევა მასობრივი ხვრეტით დაისჯება. სალონიკ-სვილენგრადის ხაზზე სამხედრო მატარებლის მარცხის შემდეგ 300 ბერძენი დახვრიტეს.

უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში აღნიშნულია 20-ზე მეტი გაფიცვა ბერძენი მუშებისა და მოსამსახურეებისა, რომელთაც არა სურთ ოკუპანტთა სამხედრო საჭიროების მომსახურე საწარმოებში მუშაობა.

ამერიკული პრესა ჰიტლერელ ბნელეთისმოციქულთა ახალი დოკუმენტის შესახებ

ნიუ-იორკი, 26 სექტემბერი (საქდესი). ამერიკული პრესა ფართოდ აქვეყნებს და კომენტარს უკეთებს ჰიტლერელ ბნელეთისმოციქულთა ცირკულარს „საოკუპაციო ხელისუფლების პოლიტიკის შესახებ ნორვეგიაში".

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მიმომხილველი ჰარელსონი ხაზგასმით აღნიშნავს, ეს ცირკულარი იმას მოწმობს, რომ ჰიტლერი, რომელმაც იცის, რომ ჩაიშალა ცდები მარიონეტული მთავრობებისა — მუსერტისა ჰოლანდიაში და კვისლინგისა ნორვეგიაში — მოეპოვებინათ ხალხის მასების მხარდაჭერა, აპირებს თავისი მოადგილეებით შეცვალოს ისინი. ამასთანავე ჰიტლერი ცდილობს რასიული პოლიტიკის პრინციპებით გაამართლოს ოკუპირებული ქვეყნების მოსახლეობისათვის იძულებითი შრომის შემოღება.

მძევლების მასობრივი დასჯა სიკვდილით საფრანგეთში

ნიუ-იორკი, 24 სექტემბერი (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, გერმანელთა საოკუპაციო ხელისუფლებამ ბორდოში გამოაცხადეს, რომ სიკვდილით დასჯილია 70 მძევალი. ჰიტლერელების მიერ ამ უკანასკნელ კვირაში საფრანგეთში სიკვდილით დასჯილთა საერთო რიცხვი, ოფიციალური ცნობის მიხედვით, 186 კაცს შეადგენს.

ა. იმედაშვილის ხსოვნას

25 სექტემბერს, დილის 4 საათზე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქართული სცენის გამოჩენილი ოსტატი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ალექსანდრე სოლომონის-ძე იმედაშვილი.

ალექსანდრე იმედაშვილი დაიბადა თბილისში, ხელოსნის ოჯახში 1882 წელს. მისი დიდი ნიჭი, შესანიშნავი ხმა, მეტყველებისა და აქტიორული წარმოსახვის შესანიშნავი უნარი პირველი შეხვედრისთანავე დააფასა სახელოვანმა ლადო მესხიშვილმა და 18 წლის ალექსანდრე იმედაშვილი 1900 წელს თბილისის ქართული თეატრის დასში მიიღო. ამ დღიდან დაწყებული ალექსანდრე იმედაშვილი ქართულ სცენაზეა და ორმოც წელზე მეტია თავდადებით ემსახურება ქართულ თეატრალურ ხელოვნებას, როგორც დიდი აქტიორი, დამდგმელი რეჟისორი და ახალგაზრდა მსახიობთა აღმზრდელი.

მრავალფეროვანი შემოქმედებითი გზა განვლო ალ. იმედაშვილმა. იგი იყო მსახიობი ამ სიტყვის ფართო გაგებით. მას ხელოვნება სწამდა, როგორც ძლიერი იარაღი მასების აღსაზრდელად და მთელ თავის მუშაობას სცენაზე სამართლიანად სთვლიდა, როგორც მშობლიური ქვეყნის, თავისი ხალხის სამსახურს, ხალხისა, რომელიც ასე ძლიერ უყვარდა ალ. იმედაშვილს.

40 წლის ხანცენო მოღვაწეობის მანძილზე ალ. იმედაშვილმა შეჰქმნა დაუვიწყარი სცენიური სახეები. დიდი ტრაგიკოსი მსახიობი იმავე დროს იყო კომედიის დიდი ოსტატი. ქართული სცენის ისტორია არ დაივიწყებს ალ. იმედაშვილის ოტელლოს, კარლ მოორს, ოიდიპოსს, ურიელსა და დე-სილვას („ურიელ აკოსტა"), სვიმონ ლეონიძეს („სამშობლო"), დათოს და ანანიას („ღალატი"), ლირს („მეფე ლირი"), ვანოს („მსხვერპლი"), როსტომს („ციხის საიდუმლო"), პეტრუჩიოს („ჭირვეული ცოლის მორჯულება"), მეზღვაურს („გამარჯვებულებს არ სჯიან"), შადიმანს („გიორგი სააკაძე"), შალვას („მათი ამბავი") და სხვ.

ალ. იმედაშვილი იმავე დროს იყო კარგი რეჟისორი, ორგანიზატორი. იგი არა ერთხელ ყოფილა ქართული დასების ხელმძღვანელად ქუთაისში, ბათუმში, ჭიათურაში, მუშაობდა რუსთაველის თეატრში და მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებულ ქუთაისის თეატრში, დიდ მუშაობას ეწეოდა თბილისის კინოსტუდიაში, სადაც გარდა ფილმებში მონაწილეობისა, ახმოვანებდა რუსული ფილმების ქართულ დუბლიაჟებს. ალ. იმედაშვილი არის მსახიობთა პროფესიული კავშირის ერთ-ერთი ორგანიზატორი საქართველოში. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე პიესა და მთელ რიგ კლასიკურ ნიესთა ქართული თარგმანი.

ა. იმედაშვილი ოტელლოს როლში

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ალ. იმედაშვილმა კიდევ უფრო გაშალა თავისი ნიჭი, კიდევ უფრო მეტი მონდომებით, ხალისით მიჰქონდა ხალხთან თავისი დიდი ხელოვნება და თავისებური აღგზნებით კიდევ უფრო აღვივებდა ხალხის გულში სამშობლოსადმი სიყვარულს. ალ. იმედაშვილი იყო არა მარტო დიდი მსახიობი, ხელოვანი, იგი ღირსეული შვილი იყო თავისი ქვეყნისა.

პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ალ. იმედაშვილის დიდი ნიჭი და დამსახურება ქართული ხელოვნების წინაშე. 1932 წელს მას მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება, ხოლო 1941 წელს იგი დაჯილდოებულ იქნა უმაღლესი ჯილდოთი—„საპატიო ნიშნის" ორდენით. ქუთაისის თეატრის 60 წლისთავის აღნიშვნისას საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მას უბოძა საპატიო სიგელი. ქუთაისის მშრომელებმა იგი აირჩიეს საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

ალ. იმედაშვილის დიდ ღვაწლს მშობლიური თეატრის წინაშე, მის მიერ შექმნილ მხატვრულ სახეებს მადლიერი ქართველი ხალხი არ დაივიწყებს.

გ. გოგუა, შ. დადიანი, ე. ჩერქეზიშვილი, ნ. ჩხეიძე, ა. ვასაძე, ა. ხორავა, დ. ანთაძე, მ. ჟიაური, ნ. გოცირიძე, ი. ალიხანიანი, ვ. ნინიძე, ვ. გვინჩიძე, პ. კანდელაკი, შ. ღამბაშიძე, გ. კილაძე, ა. წუწუნავა, ქ. შახ-აზიზოვი, ნ. ჯავახიშვილი, ტ. აბაშიძე, ც. წუწუნავა, ვ. ანჯაფარიძე, პ. ფრანგიშვილი, ა. თაყაიშვილი, პ. მურღულია.

ქართული სცენის ოსტატი

გარდაიცვალა ალექსანდრე იმედაშვილი, დიდი ხელოვანი, ნიჭიერი მსახიობი, მაღალბუნებოვანი ადამიანი, საუკეთესო წარმომადგენელი აქტიორთა იმ ბრწყინვალე პლეადისა, რომელიც ქართული თეატრის დიდმა ოსტატმა ლადო მესხიშვილმა აღზარდა.

ალ. იმედაშვილის გარდაცვალებით განსაკუთრებით დიდი დანაკარგი განიცადა ქუთაისის თეატრმა. იგი ჩვენს თეატრში მუშაობდა 1938 წლიდან. ძველი თაობის სხვა მსახიობებთან ერთად ალ. იმედაშვილმა ჩვენს კოლექტივში შემოიტანა ლადო მესხიშვილის აქტიორული სკოლის საუკეთესო ტრადიციები—გაღრმავებული მუშაობა მხატვრული სახის შესაქმნელად, დაუღალავი შრომა და თავისი ოსტატობის ახალგაზრდა მსახიობებისათვის გადაცემა. ჩვენს თეატრში ალ. იმედაშვილი იყო არა მარტო მსახიობი, არამედ აღმზრდელი პედაგოგი, რომელიც თავის შესანიშნავ მეტყველებას ასწავლიდა ახალგაზრდა მსახიობებს, გადასცემდა მათ თავის მდიდარ გამოცდილებას. თეატრის დადგმების გარეშე იგი სისტემატურად მეცადინეობდა ახალგაზრდებთან.

ქართველი მაყურებელი კარგად იცნობს ალ. იმედაშვილის მიერ შექმნილ სახეებს, რადგან არ არის საქართველოში ისეთი ქალაქი და დაბა, სადაც ალ. იმედაშვილს არ ეთამაშნოს. ქუთაისის თეატრში ამ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში მისი მუშაობა განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო. მან შეჰქმნა ისეთი დასამახსოვრებელი სახეები, როგორიცაა შადიმანი „გიორგი სააკაძეში", შალვა „მათ ამბავში", ვანიუშინი „ვანიუშინის ოჯახში", გენერალი „გუშინდელნში" და, ბოლოს, ლირი, რომელიც ალ. იმედაშვილის აქტიორული შემოქმედების აპოგეას წარმოადგენს.

ალ. იმედაშვილის მოღვაწეობა ღირსეულად არის დაფასებული. ქუთაისში მუშაობის პერიოდში მან მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი, დაჯილდოებულ იქნა „საპატიო ნიშნის" ორდენით და არჩეულ იქნა ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

ალ. იმედაშვილის ხსოვნა ჩვენთვის დაუვიწყარი იქნება. ჩვენი გონების თვალწინ მუდამ იდგომება დიდი ხელოვანი, უდრეკად პრინციპული ადამიანი, საუკეთესო მეგობარი და მოქალაქე, ღირსეული შვილი თავისი ქვეყნისა, ჩვენი სამშობლოს მოსიყვარულე პატრიოტი, რომელმაც მთელი სიცოცხლე მოახმარა მშობლიურ ხელოვნებას, მშობლიურ ხალხს. ავადმყოფის სარეცელზე მწოლიარის აზრები და ფიქრები თეატრის მუშაობას დასტრიალებდა, ახალი როლების შექმნის გეგმებს აწყობდა, პირადად არ შეეძლო თეატრში მისვლა და წერილებით ამხნევებდა ამხანაგებს, გვირჩევდა სამამულო ომის ამ მკაცრ დღეებში როგორ გვემუშავნა უფრო უკეთესად, ისე, როგორც ამას მოითხოვს ჩვენგან სამშობლო ვითარება.

ვეთხოვებით ქართული სცენის დიდ ოსტატს ალ. იმედაშვილს, მაგრამ მისი სახელი დაუვიწყარი იქნება მთელი ქართული თეატრის ისტორიაში.

ქუთაისის თეატრის კოლექტივის დავალებით: **დ. ანთაძე, ი. ზარდალიშვილი, თ. ვახვახიშვილი, გ. სულიაშვილი, ა. მურუსიძე, ც. ამირაჯიბი, შ. ხონელი,** [illegible]

[illegible]

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.